თბილისი, 2006 წლის 21 აგვისტო

სს „საქართველოს ბანკმა“ „თეიმზ რივერ კაპიტალისგან“ (Thames River Capital) 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი მიიღო

საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს „საქართველოს ბანკმა“ (GSE:GEB) დღეს განაცხადა იმის შესახებ, რომ მიიღო 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი სუბორდინირებული სესხი „თეიმზ რივერ კაპიტალის ჰილსაიდ აპექს ფანდ ლიმიტედ“-ისაგან (Thames River Capital's Hillside Apex Fund Limited). „Hillside Apex Fund Limited“ „თემზ რივერ გლობალ ფანდ ლიმიტედ“-ის (Thames River Global Funds Limited) ერთ-ერთი ფონდია, რომელიც 1998 წლის 31 ივლისს დაარსდა და ირლანდიის საფონდო ბირჟის ლისტინგში იმყოფება. „Hillside Apex Fund Limited“-ს მართავს „თემზ რივერ კაპიტალ ლიმიტედი“ (Thames River Capital (UK) Limited).

„მოხარული ვარ, რომ „საქართველოს ბანკმა“ წარმატებით დაასრულა პირველი სუბორდინირებული სესხის ტრანზაქცია. მიღებული დაფინანსება მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს მეორად (Tier II) კაპიტალს, რაც მეტად დროული იყო ბანკის სწრაფი ზრდის ფონზე. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც შევძლებთ სუბორდინირებული სესხების მოზიდვას“, აღნიშნა სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ *ლადო გურგენიძემ.*

„საქართველოს ბანკის“ შესახებ:
სს „საქართველოს ბანკი“ ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ამასთანავე, ბანკის მიერ შესყიდული სადაზღვევო კომპანია „ბისიაი“ კორპორაციებს და ფიზიკურ პირებს (ახალი ბრენდის *ჩემბის* მეშვეობით) სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს. 2006 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 756.1 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალი 118.8 მილიონ ლარს გაუტოლდა. 2006 წლის პირველ ნახევარში ბანკის კონსოლიდირებულმა წმინდა მოგებამ 9.4 მილიონი ლარი შეადგინა. ბანკს გააჩნია B-/B; სტაბილური პერსპექტივა „FitchRatings“-გან, B3/NP უცხოური ვალუტის და Baa3/P-3 ადგილობრივი ვალუტის რეიტინგები სტაბილური პერსპექტივით „Moody's“-გან და B+/B; სტაბილური პერსპექტივა „Standard & Poor's”-გან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	+995 32 444 103	lgurgenidze@bog.ge
ირაკლი გილაურს, გენერალური დირექტორი	+995 32 444 109	igilauri@bog.ge
ირაკლი ბურდილაძეს, გენერალური დირექტორის მოადგილე	+995 32 444 111	iburdiladze@bog.ge
მაკა ეკიზაშვილს, ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი	+995 32 444 256	ir@bog.ge